პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 სექტემბერი სამშაბათი 1973 წელი 2 კაკ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 213 (15730)

ქართველ მხვნელ-მთესველთა მჯაბიცე სიტყვა

წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა მიმართვა რესპუბლიკის ყველა მხვნელ-მთესველისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

წითელწყაროს რაიონის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. თვითეული კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ცდილობს **ამუშაოს დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს, შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის, უმცირესი დანახარჯებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.** ჩვენ კარგად გვესმის, რომ სწორედ ეს არის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობა.

რაიონის მექანიზატორები, ყველა კოლმეურნე დაწვრილებით გაეცნენ შარშან შემოდგომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს **„საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა დამთავრებისა და ახალი სასოფლო-სამეურნეო წლისათვის მზადების შესახებ“** და გადაწყვიტეს მეორე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მიეღოთ თავთავიანი მარცვლეულის კულტურების უხვი მოსავალი.

დიდი ენთუზიაზმით, მაღალი პატრიოტული აღმავლობით მოჰკიდა ხელი ამ ამოცანის გადაწყვეტას სოფლის ყველა მშრომელმა — დიდმა და პატარამ. ჭირვეულ ამინდს მათ დაუპირისპირეს მაღალი ორგანიზებულობა და საწარმოო დისციპლინა. მხვნელთა, მთესველთა, სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მფრინავთა, კომბაინერთა, მძღოლთა, მარცვლეულის მიმღებთა ერთსულოვანი მეცადინეობით მიღწეულია, უდანაკარგოდ აღებულია და სახელმწიფო ბეღლებში შენახულია 77.500-მდე ტონა პური. ამ უმაგალითო მოსავალს წინ უძღოდა მთელი წლის დაძაბული შრომა. საშემოდგომო ხვნა, ნიადაგის თესვისწინა დამუშავება, მინერალური სასუქების გამოყენება, თესლის მომზადება და თესვა, შემდეგ კი ნათესების მოვლა, და ბოლოს, მოსავლის აღება მაღალ დონეზე ჩატარდა.

რაიონის მხვნელ-მთესველებმა პირნათლად შეასრულეს ვალდებულებანი. 25 ათასი ჰექტარი თაართობის თვითეულ ჰექტარზე **საშუალოდ მათ მიიღეს 31 ცენტნერი მარცვალი.** უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ცალკეულმა მეურნეობებმა. სოფელ **ქვემო ქედის** კოლმეურნეობამ ნათესების მთელ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 37.8 ცენტნერი თავთავიანთა მოსავალი, სოფელ **გამარჯვების** კოლმეურნეობამ — 36,6 ცენტნერი, სოფელ **ზემო ქედის** კოლმეურნეობამ — 35,8 ცენტნერი.

ზოგიერთ ბრიგადებში და ცალკეულ მასივებზე კიდევ უფრო უხვი მოსავალი მიიღეს.

მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ რაიონში ჯერ კიდევ ბევრი რეზერვია, რომელთა უნარიანი გამოყენება უფრო მაღალი მოსავლის მიღების საშუალებას მოგვცემს.

ამ დღეებში გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ 1972 წლის მეოთხე კვარტალსა და 1973 წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ჩვენს რაიონს **მიანიჭეს წითელი დროშა და გადასცეს ფულადი პრემია.** საშობლოს ეს მაღალი ჯილდო მოგვიწოდებს მივაღწიოთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში.

პირველი შედეგების შეჯამებასთან ერთად ახლავე გადავწყვიტეთ, დავიწყოთ ლაშქრობა მომავალ წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მოყვანისათვის. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი: **18 ათასი ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ სულ ცოტა 35 ცენტნერ მარცვალს.**

ამ მიზნით კიდევ უფრო ეფექტიანად გამოვიყენებთ კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ავამოქმედებთ არსებულ რეზერვებს, გამოვიყენებთ მეცნიერების მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას, მნიშვნელოვნად ავამაღლებთ მოწათმრქმედების კულტურას. შევეცდებით ვიმუშაოთ ისე, როგორც მუშაობს კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკის რაიონის კოლმეურნეობა **„იუბანის“ ცნობილი მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ კლეპიკოვი,** რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა და საქმიანი კონტაქტები გვაკავშირებს.

ახლა რაიონში გაჩაღებულია ნიადაგის საშემოდგომო და მზრალად ხვნა, ვამზადებთ თესლს და შეგვაჭქს სასუქები ნიადაგში, მიმდინარეობს ნიადაგის თესვისწინა დამუშავება და შემჭიდროებულ ვადებში თესვისათვის მზადება, ჩვენი გადაწყვეტილებაა თვითეული ჰექტარი მოვამზადოთ წინმბზენელიან. ბუთნით და ყოველ ჰექტარზე შევიტანოთ სასუქები, ეფექტიანად გამოვიყენოთ ყოველი მტკავლი მიწა, თესვის დაწყებამდე გამოვიტანოთ მინდვრებიდან მთელი ნამჯა; ავითვისოთ დამატებითი ფართობები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების გასაადიდებლად, დროზე შევიტანოთ ნიადაგში ფოსფორისა და აზოტის სასუქები. განვახორციელებთ ყველა ღონისძიებას, რომ **მთელი სათესი ფართობის 80-90 პროცენტი დავთესოთ ჯვარედინად სუკეთესო აგროტექნიკური ვადებში, ზუსტად დავიცვათ თესვის ნორმები იმ ვარაუდით, რომ თვითეულ ჰექტარზე შევიანარჩუნოთ 5-5,5 მილიონი მცენარე.** უნაკლოდ დავიცავთ ნათესების მოვლის აგროტექნიკურ მოთხოვნებს. პირველ აღმონაცენისთანავე დავათვალიერებთ მინდვრებს და სუსტი ნაკვეთების გამოვლინებისას თოვლის დნობის პერიოდში დამატებით შევიტანთ სასუქებს ნათესებში ნახევარაგროტექნიკურ დოზით. განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობთ ბრძოლის მცენარეთა მავნებლების დაავადებებისა და სარეველების წინაალმდეგ, გულდასმით მოვემზადებით მოსავლის აღებისათვის, მთლიანად მოვამზადებთ მოსავლისასაღებ მთელ ტექნიკას. **1974 წელს ორჯერად ავიღებთ პურის მოსავალს 15 ათას ჰექტარზე.**

მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდება სოფლის მეურნეობის პირველი რიგის პროგრამაა ჩვენს ქვეყანაში. მისი გადაწყვეტა მოკლე ვადაში თვითეული ჩვენგანის ამოცანაა. **მაშ მოდით, ძვირფასო ამხანაგებო, უფრო სრულად გამოვიყენოთ მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების ყველა შესაძლებლობა, გავაფართოოთ ნათესები, დიდი უურადღება დავუთმოთ თვითეული ჰექტარი უანის სანიმუშო მდგომარეობას.**

მიმართვა მიღებულია ერთხმად წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე.

შეჯიბრების მოწინავენი

„თბილგვირაბმშენის“ № 218 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კოლექტივი წარმატებით შრომობს თბილისის მეტროპოლიტენის ახალი ხაზის მშენებლობაზე. სიბურთალოს მიმართულებით. აქ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს გამყვანთა ბრიგადა, რომელსაც გოგი ჭელიძე ხელმძღვანელობს. ამ სახელოვანმა კოლექტივმა ილიას-აკაკისტოს გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა და გამარჯვებული გამოვიდა სოციალისტურ შეჯიბრებაში. **სურათზე:** მარცხნიდან — ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ჭელიძე, გამყვანი ა. ფუცუშვილი და მექანიკოსი თ. ყიფიანი.

ხ. თევზაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

პარტიული კომიტეტი და კადრები

ქმარხანა საწარმოო პროგრამას ვერ ასრულებს. რატომ? მიზეზების გამოკვლევისას, პარტიულ კომიტეტს, პირველადს ორგანიზაციას უწინარეს ყოვლისა აინტერესებთ, როგორ მოქმედებენ დირექტორი, მთავარი სპეციალისტები, საამქროთა და განყოფილებათა უფროსები, რა ღონისძიებებს მიმართავენ ისინი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მათ გვერდს ვერ აუვლიან იმ შემთხვევაშიც, როცა საწარმო წარმატებას აღწევს. და ეს გასაგებიც არის: ხელმძღვანელზე ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფო გეგმებისა და კოლექტივის მიერ ნაკისრი ვალდებულებათა შესრულება.

ხელმძღვანელი კადრებისადმი მოთხოვნები განუწყვეტლივ იზრდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ აუცილებელი ხდება კარგად ვეუფლებოდეთ მეურნეობის გაძღოლის ინტენსიურ მეთოდებს, სრულყოფდეთ მართვას, ვამაღლებდეთ წარმოების ეფექტიანობას დაჩქარებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე. „გვჭირდება, ძალიან გვჭირდება ჩვენი სოციალისტური ფორმაციის ხაქმიანი ადამიანები, რომლებშიც შეხამებული იქნება კომპეტენტურობა და ფხიანობა ღრმა პარტიულობასთან, საერთო-სახალხო ინტერესებისათვის ზრუნვასთან, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა კიევში გამართულ ხაზეიმო სხდომაზე. — თანამედროვე სამეურნეო ხელმძღვანელს კარგად უნდა ესმოდეს პარტიის ეკონომიური პოლიტიკის არსი და აზროვნებდეს ფართოდ, სახელმწიფოებრივად, მთლიანად იყენებდეს წარმოების რეზერვებს“.

ჩვენი ქვეყნის ყველა რეხპუბლიკაში აღიზარდა წარმოების ბევრი შესანიშნავი ორგანიზატორი, მახებთ ნიჭიერი ხელმძღვანელი, რომლებიც გვიჩვენებენ ნამდვილად ბოლშევიკური პასუხისმგებლობის ნიმუშებს, დგანან სოციალისტური ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპებისათვის ბრძოლის ავანგარდში. რა არის დამახასიათებელი ასეთი ხელმძღვანელებისათვის? უწინარეს ყოვლისა ის, რომ საფუძვლიანად იცოდნენ წარმოება, რთული საკითხების გადაჭრისას შეეძლოთ დაყრდნობა მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებზე, უნარი შესწევდეთ შექმნან კოლექტივში ხაქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო. გასაგებია, რომ ამას უკეთ შეძლებენ ისინი. ვინც თავის მუშაობას წარმართავს პარტიულ ორგანიზაციასთან მჭიდრო კონტაქტით, უურადღებით სწავლობს და ითვალისწინებს სპეციალისტთა, მშრომელთა აზრს. საბჭოთა სამეურნეო მუშაკის განუყოფელი თვისებაა ახლის გრძნობა, ხვალინდელი დღის განჭვრეტისადმი მისწრაფება.

ხელმძღვანელის საქმიანი და პოლიტიკური თვისებები ახლა მოწმდება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის ბრძოლაში. შეგვიძლია მოვიყვანოთ ათასობით მაგალითი, როცა მაღალორგანიზებულად და შეწყობილად მოქმედებენ კოლექტივები, რომლებიც მტკიცედ ზედიზედ აღწევენ შრომითს მიჯნებს. ამასთანავე ყოველ დარგში ჯერ კიდევ არიან ჩამორჩენილნი. ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზია სუსტი ხელმძღვანელობა, სეროიზული ნაკლოვანებანი კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში. მთელი რიგი პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, რომლებმაც უკანასკნელ ხანს კადრების საკითხები განიხილეს, აღინიშნა, რომ ხამეურნეო მუშაკთა ნაწილი ვერ გამოდგა საკმაოდ მომზადებული ცხოვრების მიერ წამოყენებული თვისებრივად ახალი ამოცანების წინაშე. ზოგი მათგანი ენერგიასა და დროს ანდომებს წვრილმანი მიმდინარე საკითხების „შეთანხმებას“, ძირეული პრობლემები კი მათი თვალთახედვის გარეთ რჩება. არსებითი ნაკლია კვლავ ის, რომ არ იცვამ შეხრულების სისტემატური შემოწმების მოგვარება, დაწესებულის ბოლომდე მიყვანა. პარტიის მოსკოვის საოლქო კომიტეტის პლენუმზე მოიყვანეს ასეთი ფაქტი. თევზის კომბინატის „ეგორიევსკის“ დირექტორმა ამხ. რაზგულნოვმა გამოსცა ბევრი განკაგრულება ხაამქროებში შრომის ორგანიზაციისა და ტექნოლოგიური დისციპლინის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ საქმით არ განუმტკიცებია ისინი. ამის შედეგად ხაწარმოო ხიმძლავრეებს აქ იყენებდნენ მხოლოდ ნახევრად, ხაწარმო ვერ ასრულებდა გეგმას.

პარტიული კომიტეტებისა და პირველადი ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველნაირად იზრუნონ სამეურნეო მუშაობის სტილის სრულყოფისათვის. რასაკვირველია, ეს უნდა მოხდეს ტაქტიანად მაგვრობისა და წვრილმანი მეურვეობის გაუშვებლად. პრაქტიკამ შეიმუშავა ასეთი დახმარების ეფექტანი ფორმები. ეს ეს, მაგალითად, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, შეხვედრები „მრგვალ მაგიდასთან“, სადაც ხდება სამეურნეო საქმიანობის გამოცდილების განზოგადება. სასარგებლოა ხელმძღვანელის ანგარიშის მოსმენაც პარტიულ კომიტეტში ან კომუნისტთა კრებაზე, რათა საფუძვლიანად გაეერკვიეთ მისი მუშაობის პლუსებსა და მინუსებში, ვურჩიოთ, როგორ წარმართოს უკეთ საქმე. დიდი მნშვნელობა აქვს კარგად მოგვარებულ ეკონომიურ სწავლებას, კადრების მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის შემდგომ სრულყოფას.

ხელმძღვანელ მუშაკებს, მათ შორის სამეურნეო მუშაკებსაც, ზოგან ხშირად ცვლიან. ეს, რა თქმა უნდა, ცუდია. უნარიან, ნიჭიერ მუშაკებს უნდა ვუფრთხილდებოდეთ. მაგრამ, როგორ მოვექცეთ იმათ, ვინც ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს? ცხადია. რომ მათ ადგილი უნდა დაუთმონ უფრო მომზადებულ და ენერგიულ სპეციალისტებს, ორგანიზატორებს, რომლებსაც მაღალი პროფესიული, პოლიტიკური და მორალური თვისებები აქვთ. ჩვენი ცხოვრების კანონია მკაცრად მოვკითხოთ მინდობილი უბნისათვის, ყველანაირად განვამტკიცოთ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა.

კადრებთან მუშაობის ძირითადი მეთოდია დარწმუნება, ამხანაგური კრიტიკა, საქმიანი დახმარება, მაგრამ იმათ მიმართ, ვისაც ვერ გამოაქვს დასკვნები კრიტიკიდან, ვიყენებთ უფრო მკაცრ ღონისძიებებს. ამას წინათ რესპუბლიკაში ვაჭრობის ცუდი ხელმძღვანელობისათვის, სამინისტროს სისტემაში ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების ატმოსფეროს შექმნისათვის, თანამშრომელთა შერჩევასა და განაწილებაში დაშვებული უხეში დარღვევებისათვის თანამდებობიდან მოიხსნენ და მკაცრი პარტიული სასჯელი დაედოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ვ. თოხაძეს და მის პირველ მოადგილეს მ. შიხაშვილს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ რეკომენდებულია მათი გამოყენება რიგით სამუშაოზე სპეციალობის მიხედვით.

კადრების პოლიტიკაში პარტიული პრინციპულობა, ნდობისა და მომთხოვნელობის, ხელმძღვანელობის კოლეგიურობის შეხამება პერსონალურ პასუხისმგებლობასთან, აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე, კადრების ზრდისა და აღზრდის, მთელი ჩვენი მუშაობის სწორი ორგანიზაციის აუცილებელი პირობაა. კომუნისტები ვერ შეურიგდებიან ვიწრო უწყებრიობისა და კუთხურობის. დამყაყებულობისა და ტექნიკური კონსერვატიზმის, უდისციპლინობისა და მოშვებულობის, უყაირათობისა და მფლანგველობის გამოვლინებებს.

კადრებისათვის ზრუნვა მოითხოვს ადამიანთა აღზრდის ფორმებისა და მეთოდების ყურადღებით შესწავლასა და სრულყოფას. პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა გამოცდილებით შეძენილი ყოველივე საყურადღებო და სახარგებლო უნდა გამოიყენონ ხელმძღვანელი მუშაკების მომზადების, სწავლების გაუმჯობესებისა და იდეური ფრთობისათვის. კადრების შერჩევა და აღზრდა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ПРАВДА

10 სექტემბრის მოწინავე

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს გრძანებულება

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდება მიენიჭოს ამხანაგ **ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს** — საბჭოთა კავშირის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის მებრძოლს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარებაში, განმტკიცებასა და გაღრმავებაში და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, აქტიური მონაწილეობისათვის პიტლერული ფაშიზმის განადგურებასა და ხალხთა განთავისუფლებაში, პირადი წვლილისათვის კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური გენერალური ხაზის მამდგომ შემუშავებასა და განხორციელებაში, თქვენ მიერ წამოყენებული და სკკპ XXIV ყრილობაზე დამტკიცებული მშვიდობის პროგრამის განუხრელ განხორციელებაში, სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის სულ უფრო მჭიდროდ შეკავშირებისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განუწყვეტელი გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, მარქსისტულ-ლენინური იდეების სრული გამარჯვებისათვის ბრძოლაში. სწორედ, ამ თქვენმა დიდად კეთილშობილურმა და ნაყოფიერმა, ლენინურად პრინციპულმა და შორსმჭვრეტელურმა მოღვაწეობამ მოგიპოვათ ხალხთა აღიარება და პატივისცემა და დამსახურებულად ეგზიხადათ ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი პოლიტიკური მოღვაწე.

თქვენი სახით, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძე, მივესალმებით ბულგარელი ხალხის დიდ მეგობარს, ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის კრისტალურად წმინდა და ცხოველმყოფელი მეგობრობის დაუცხრომელ დამცველს. სსრ კავშირთან — მსოფლიოში პირველ სოციალისტურ საზოგადოებასთან და თანამედროვე სოციალური პროგრესის ავანგარდთან ძმური მეგობრობა ბულგარელი ხალხის ღვიძლი საქმე და მისი ბედია. სწორედ ამიტომ ურყევად ადგანან ჩვენი პარტია და სახელმწიფო დიდ საბჭოთა კავშირთან ყოველმხრივი დაახლოების კურსს, სწორედ ამიტომ უზომო მადლობას გიძღვნით დიდი პირადი წვლილისათვის, რომელიც თქვენ შეგაქვთ ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარების, განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში.

ბულგარელი ხალხის სახელით დიდ მადლობას გიძღვნით თქვენი განსაკუთრებული დამსახურებისათვის მშვიდობის განმტკიცებასა და თანამედროვე საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში მსოფლიოს ხალხები მადლიერებით და ხავსებით საფუძვლიანად აღნიშნავენ დღეს თქვენს ისტორიულ წვლილსა და ნ�და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. თვითეული კოლმეურნე, საბჭოთა მეურნეობის მუშა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი ცდილობს **ამუშაოს დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს, შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის, უმცირესი დანახარჯებით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.** ჩვენ კარგად გვესმის, რომ სწორედ ეს არის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების აუცილებელი პირობა.

რაიონის მექანიზატორები, ყველა კოლმეურნე დაწვრილებით გაეცნენ შარშან შემოდგომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს **„საშემოდგომო მინდვრის სამუშაოთა დამთავრებისა და ახალი სასოფლო-სამეურნეო წლისათვის მზადების შესახებ“** და გადაწყვიტეს მეორე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს მიეღოთ თავთავიანი მარცვლეულის კულტურების უხვი მოსავალი.

დიდი ენთუზიაზმით, მაღალი პატრიოტული აღმავლობით მოჰკიდა ხელი ამ ამოცანის გადაწყვეტას სოფლის ყველა მშრომელმა — დიდმა და პატარამ. ჭირვეულ ამინდს მათ დაუპირისპირეს მაღალი ორგანიზებულობა და საწარმოო დისციპლინა. მხვნელთა, მთესველთა, სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მფრინავთა, კომბაინერთა, მძღოლთა, მარცვლეულის მიმღებთა ერთსულოვანი მეცადინეობით მიღწეულია, უდანაკარგოდ აღებულია და სახელმწიფო ბეღლებში შენახულია 77.500-მდე ტონა პური. ამ უმაგალითო მოსავალს წინ უძღოდა მთელი წლის დაძაბული შრომა. საშემოდგომო ხვნა, ნიადაგის თესვისწინა დამუშავება, მინერალური სასუქების გამოყენება, თესლის მომზადება და თესვა, შემდეგ კი ნათესების მოვლა, და ბოლოს, მოსავლის აღება მაღალ დონეზე ჩატარდა.

რაიონის მხვნელ-მთესველებმა პირნათლად შეასრულეს ვალდებულებანი. 25 ათასი ჰექტარი თაართობის თვითეულ ჰექტარზე **საშუალოდ მათ მიიღეს 31 ცენტნერი მარცვალი.** უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ცალკეულმა მეურნეობებმა. სოფელ **ქვემო ქედის** კოლმეურნეობამ ნათესების მთელ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 37.8 ცენტნერი თავთავიანთა მოსავალი, სოფელ **გამარჯვების** კოლმეურნეობამ — 36,6 ცენტნერი, სოფელ **ზემო ქედის** კოლმეურნეობამ — 35,8 ცენტნერი.

ზოგიერთ ბრიგადებში და ცალკეულ მასივებზე კიდევ უფრო უხვი მოსავალი მიიღეს.

მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ რაიონში ჯერ კიდევ ბევრი რეზერვია, რომელთა უნარიანი გამოყენება უფრო მაღალი მოსავლის მიღების საშუალებას მოგვცემს.

ამ დღეებში გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ 1972 წლის მეოთხე კვარტალსა და 1973 წლის პირველ ნახევარში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ჩვენს რაიონს **მიანიჭეს წითელი დროშა და გადასცეს ფულადი პრემია.** საშობლოს ეს მაღალი ჯილდო მოგვიწოდებს მივაღწიოთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებასა და მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში.

პირველი შედეგების შეჯამებასთან ერთად ახლავე გადავწყვიტეთ, დავიწყოთ ლაშქრობა მომავალ წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის მოყვანისათვის. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი: **18 ათასი ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღებთ სულ ცოტა 35 ცენტნერ მარცვალს.**

ამ მიზნით კიდევ უფრო ეფექტიანად გამოვიყენებთ კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ავამოქმედებთ არსებულ რეზერვებს, გამოვიყენებთ მეცნიერების მიღწევებს, მოწინავეთა გამოცდილებას, მნიშვნელოვნად ავამაღლებთ მოწათმრქმედების კულტურას. შევეცდებით ვიმუშაოთ ისე, როგორც მუშაობს კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკის რაიონის კოლმეურნეობა **„იუბანის“ ცნობილი მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ კლეპიკოვი,** რომელთანაც დიდი ხნის მეგობრობა და საქმიანი კონტაქტები გვაკავშირებს.

ახლა რაიონში გაჩაღებულია ნიადაგის საშემოდგომო და მზრალად ხვნა, ვამზადებთ თესლს და შეგვაჭქს სასუქები ნიადაგში, მიმდინარეობს ნიადაგის თესვისწინა დამუშავება და შემჭიდროებულ ვადებში თესვისათვის მზადება, ჩვენი გადაწყვეტილებაა თვითეული ჰექტარი მოვამზადოთ წინმბზენელიან. ბუთნით და ყოველ ჰექტარზე შევიტანოთ სასუქები, ეფექტიანად გამოვიყენოთ ყოველი მტკავლი მიწა, თესვის დაწყებამდე გამოვიტანოთ მინდვრებიდან მთელი ნამჯა; ავითვისოთ დამატებითი ფართობები სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესების გასაადიდებლად, დროზე შევიტანოთ ნიადაგში ფოსფორისა და აზოტის სასუქები. განვახორციელებთ ყველა ღონისძიებას, რომ **მთელი სათესი ფართობის 80-90 პროცენტი დავთესოთ ჯვარედინად სუკეთესო აგროტექნიკური ვადებში, ზუსტად დავიცვათ თესვის ნორმები იმ ვარაუდით, რომ თვითეულ ჰექტარზე შევიანარჩუნოთ 5-5,5 მილიონი მცენარე.** უნაკლოდ დავიცავთ ნათესების მოვლის აგროტექნიკურ მოთხოვნებს. პირველ აღმონაცენისთანავე დავათვალიერებთ მინდვრებს და სუსტი ნაკვეთების გამოვლინებისას თოვლის დნობის პერიოდში დამატებით შევიტანთ სასუქებს ნათესებში ნახევარაგროტექნიკურ დოზით. განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობთ ბრძოლის მცენარეთა მავნებლების დაავადებებისა და სარეველების წინაალმდეგ, გულდასმით მოვემზადებით მოსავლის აღებისათვის, მთლიანად მოვამზადებთ მოსავლისასაღებ მთელ ტექნიკას. **1974 წელს ორჯერად ავიღებთ პურის მოსავალს 15 ათას ჰექტარზე.**

მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდება სოფლის მეურნეობის პირველი რიგის პროგრამაა ჩვენს ქვეყანაში. მისი გადაწყვეტა მოკლე ვადაში თვითეული ჩვენგანის ამოცანაა. **მაშ მოდით, ძვირფასო ამხანაგებო, უფრო სრულად გამოვიყენოთ მარცვლეულის მოსავლიანობის გადიდების ყველა შესაძლებლობა, გავაფართოოთ ნათესები, დიდი უურადღება დავუთმოთ თვითეული ჰექტარი უანის სანიმუშო მდგომარეობას.**

მიმართვა მიღებულია ერთხმად წითელწყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე.

ა. ნ. კოსიგინის მომავალი პიზიტი იუგოსლავიაში

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის ჯ. ბიედიჩის მიწვევით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. **კოსიგინი** სექტემბრის მეორე ნახევარში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩავა იუგოსლავიაში.

□

ვილია გადახიდეს

ვილიეია (მინსკის ოლქი), (საკერესის კორ.). 8 სექტემბერს ბელორუსიაში ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მშენებლობის — ვილია-მინსკის წყლის სისტემის მშენებლებმა გადახიდეს მდინარე ვილია. მისმა წყალმა დაიწყო მომავალი წყალსაცავის ავსება, რომლის ფართობი 70 კვადრატულ კილომეტრს გადააჭარბებს.

„ვილიას ზღვის“ მილიონ კუბურ მეტრზე მეტი წყალი ყოველდღიურად შეავსებს მდინარე სვისლოჩს, რომლის ნაპირზეც გაშენებულია მინსკი. ამის შედეგად რესპუბლიკის დედაქალაქის სამრეწველო საწარმოები შეწყვეტენ მიწისქვეშა წყაროების გამოყენებას. ტრასაზე შენდება ხუთი მძლავრი სატუმბი სადგური.

ზუთწლედი — ვადამდე!

300.000 ტონა ყურძნისათვის

რთველი დაიწყო

ეს-ეს არის ალაზნის ველზე ყურძენი სიმწიფეში შევიდა. მალე ფართოდ გაიღება ხირხისა და ტიბაანის სახელმწიფო მარნების კარი. ტკბილი შარბათის სურნელებით გაიჟღინთება მიდამო.

ყველაზე ადრე ხირხის საბჭოთა მეურნეობის ყურძენი დამწიფდა. მევენახეებმაც აღარ დაყოვნეს, რაიონში პირველნი შეუდგნენ რთველს. მართალია, ზამთრის სუსხიანმა ყინვებმა ხირხის ზვრებიც დააზიანა, მაგრამ გამოცდილმა მევენახეებმა ყველაფერი გაკეთეს იმისათვის, რომ ვაზისათვის ჭრილობები მოეშუშებინათ, ახალი კვირტი გაეხარებინათ, ვაზსაც და კაცის შრომასაც თავისი შედეგი გამოეღო.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა, ხირსელებს კარგი რთველი ექნებათ, ვალდებულებას, რომელიც მათ იკისრეს, პირნათლად შეასრულებენ — სახელმწიფოს მიპყიდიან 1800 ტონა ყურძენს.

მეურნეობის ცალკეულ უბნებში, ბრიგადებში მოსავლიანობა საშუალოდ ჰექტარზე 50-60 ცენტნერს მიაღწევს, მთლიანად მეურნეობაში კი საშუალოდ ჰექტარზე 40-45 ცენტნერი ყურძნის მიღებას ვარაუდობენ.

გუშინ ხირხელებმა სახელმწიფო მარანში 100 ტონაზე მეტი ყურძენი მიიტანეს. კარგი სტარტი იმაზე მეტყველებს, რომ ისინი რთველისათვის კარგად მოემზადნენ. ყველაფერი ეთდება იმისათვის რომ მოსავალი დროზე და უდანაკარგოდ აიღონ.

ხირხელი მევენახეები მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩუმლაყელ და კლდეეთელ მევენახეთა პატრიოტულ თოხნობას — საკარმიდამო ნაგებებიდან მიღებული ყურძენი ჩაბარონ სახელმწიფოს.

ხირხის ღვინის ქარხნის დირექცია, პირველადი პარტორგანიზაცია ყველა ღონეს ხმარობენ, რათა არ შეაფერხონ მევენახეები ტრანსპორტით, ადგილზევე აუნაზღაურონ ყურძნის ღირებულება.

წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით ხირხელები რთველს ორ კვირაში დაამთავრებენ.

ვ. მჯედლიშვილი.

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა

ერთ ღიკ პარტიულ კრებაზე

300.000 ტონა ყურძენისათვის

კისისხევველებმა იკისრეს

სამშობლოს მისცემ საკარმიდამო ნაკვეთებიდან — 450 ტონა ყურძენი, რაც შარშანდელთან შედარებით 348 ტონით მეტია.

რთველი კარზეა მომდგარი, კიდევ რამდენიმე დღეც და გაჩაღდება ძნელ პირობებში მოუვანილი მოსავლის აღება-დაბინავება.

საქმე ისე უნდა აეწყოს, რომ ორგანიზებულად, მოკლე დროში, უდანაკარგოდ ჩატარდეს რთველი, სახელმწიფო მარანს ჩაბარდეს რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ყურძენი.

ამ მიზნით საზოგადოებრივ მეურნეობებში, სახოფლო საბჭოებში იმართება თათბირები, საუბრები, ღია პარტიული კრებები, რომელთა დღის წესრიგშია ხოფლის მეურნეობის მშრომელთა [illegible] მთავარი საზრუნავი: **რთველი და ყურძნის დამზადება.**

ერთი ასეთი **ღია პარტიული კრება გაიმართა თელავის რაიონის კისისხევის მეკენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.**

კრებას 78 კომუნისტი და ასამდე უპარტიო აქტივისტი ესწრებოდა. **დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: „რთველის ორგანიზებულად ჩოფოვობასა და ყურძნის დამზადების ბეგმის შესრულებაში კომუნისტთა ამოცანები“.**

მოხსენებით გამოვიდა საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ქ. კირვალიძე.

ქ. კირვალიძე,

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

მეტად მძიმე პირობების გადალახვა მოუხდათ ჩვენს მევენახეებს. 1971-1972 წლების ზამთრის ყინვებმა ძლიერ დაგვიზიანა ვენახები, მაგრამ სიძნელეებმა როდი შეგვაშინა, გაორკეცებული ენერგიით შევუდექით შრომას და აი შედეგიც თვალნათლივ ჩანს, მოსავლის განმსაზღვრელმა კომისიამ, სპეციალისტებმა, გამოცდილმა მევენახეებმა გულდასმით შეამოწმეს ზვრები და ამ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ადრე გათვალისწინებული 2.640 ტონის ნაცვლად 2.800 ტონა ყურძენს მივიღებთ. წინასწარი განსაზღვრით ვფიქრობთ 17-20 სექტემბერს დავიწყოთ რთველი.

ჩვენი ვარაუდით წელს რთველში გამოვა 700-750 კაცი, რომელთა შორის 600-ზე მეტი მკრეფავი იქნება. ასეთი ძალებითა და საშუალებებით შეგვიძლია ყოველდღიურად 160-170 ტონა ყურძენი ჩავაბაროთ ნაცვლად 800 ტონაზე მეტი ყურძენი მოვკრიფოთ, დღეში 50-60 ტონა ყურძენი მივუწოდოთ მარანს და რთველი 15 დღეში დავამთავროთ.

ახლა ყველა მოსამზადებელი სამუშაო მოგვარებული გვაქვს, ქუდზე კაცი გავა რთველში ჩვენი განყოფილებიდან.

არც ჩემი ოჯახი ჩამორჩება სხვებს. წელს სამ ტონა ყურძენს მივყიდით სახელმწიფოს.

ლ. ველიაშვილი,

სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე

ხალხი ამბობს, ყურძენი ისეთი ხილია, რომ შეიძლოს, თავის თავს შეჭამსო. ამიტომ უდავოა, რომ მას მტერიც ბევრი ჰყავს. ამდენად ჩვენი სახალხო კონტროლიორებს მოვალეობა ორკეცდება შემოდგომობით, ჯგუფში მოვითთქრიეთ, გამოვიქვით სათანადო მოსაზრებანი და 85 სახალხო კონტროლიორი ვავანაწილეთ სხვადასხვა უბანზე, დარწმუნებული ვარ მათს ფხიზელ თვალს ჩიტის გაფრენაც კი არ გამოეპარება.

სახალხო კონტროლიორები რთველის პერიოდში არა მარტო ას თვალსა და ას ყურს გამოიბამენ, არამედ პირად მაგალითსაც უჩვენებენ შრომაში. ისინი თავიანთი ოჯახების ყველა შრომისუნარიან წევრს გამოიყვანენ სამუშაოდ და ამით საკუთარ წვლილს შეიტანენ რთველის დროზე დამთავრების საქმეში. გავიანგარიშეთ, რომ რთველის ერთი დღით გაჭიანურებას 15-16 ცენტნერი ყურძნის დანაკარგი მოსდევს, ხოლო თუ მკრეფავები საკუთარ კალათებს ან ვედროებს იქონიებენ, დანაკარგი კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ ყოველმა მკრეფავმა ფანახში უნდა მიიღოს საკრეფი ტარა და საღამოს უკანვე ჩააბაროს.

ფხიზელ კონტროლს დავამყარებთ აგრეთვე ვენახებში ყურძნის აწოწვასა და შაქრიანობის გაზომვაზე, რათა შეცდომებს ან გაუგებრობას არ ჰქონდეს ადგილი.

ც. გომურაშვილი,

კომკავშირის კომიტეტის მდივანი

მეურნეობის 80 კომკავშირელი მიიღებს აქტიურ მონაწილეობას რთველში, მათი პირობაა ბევრითი შრომით მაგალითი უჩვენონ სხვა ახალგაზრდებს, მხარში ამოუდგნენ გამოცდილ მეკენახეებს და თავიანთი წვლილი შეიტანონ რთველის მოკლე დროში უდანაკარგოდ დამთავრების საქმეში. მეურნეობის შტატში მყოფი ახალგაზრდების გარდა სოფელში გამოვნახეთ ოცზე მეტი ახალგაზრდა, რომლებიც დაგვეთანხმნენ რთველის დაწყებიდან დამთავრებამდე ჩვენთან ერთად აქტიურად იშრომონ.

კომკავშირის ორგანიზაციიდან შევარჩიეთ ათი საუკეთესო ახალგაზრდა და მათგან ჩამოვაყალიბეთ ოპერატიული რაზმი, ამ რაზმის მიზანია დაეხმაროს მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთებზე ყურძნის კრეფასა და სახელმწიფოს მარნამდე გადაზიდვაში.

გ. დალელიშვილი,

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ჩვენი სოფლის მოსახლეობა მხურვალედ გამოეხმაურა ზესტაფონის რაიონის კლდეეთისა და გურჯაანის რაიონის ჩუმლაყის სასოფლო საბჭოების მშრომელთა ინიციატივას საკარმიდამო ნაკვეთებში მოკრეფილი ყურძნის სახელმწიფოსათვის მიყიდვის შესახებ.

მოწოდება დეპუტატებისა და აგიტატორების საშუალებით გავაცანით ყველა მოსახლეს. მათ გადაწყვიტეს, რომ წელს მხოლოდ მცირედენი ყურძენი დაიტოვონ საოჯახო საჭიროებისათვის, მთელი დანარჩენი მოსავალი კი სახელმწიფოს მიპყიდონ. ციფრები შევაჯამეთ და ვიმედოვნებთ, რომ სახელმწიფოს მიეყიდება 450 ტონაზე მეტი მოსავალი. თუ ამ ციფრს შევადარებთ შარშანდელ მონაცემებს, როცა ჩვენმა მოსახლეობამ სახელმწიფოს 102 ტონა ყურძენი მიპყიდა, წელს წინ გადადგმული ნაბიჯი გაცილებით თვალსაჩინო იქნება.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მეორე აგროგანყოფილების გამგე ი. ღუდუშიძე, პირველი აგროგანყოფილების № 3 ბრიგადის ხელმძღვანელი შ. მრეულიშვილი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, მეგობარი მუშა ნ. ზაალიშვილი, მესამე აგროგანყოფილების № 3 ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ზურიშვილი, გარაჟის გამგე მ. არაკოიშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი მ. აზნაურიშვილი.

გამოსულ ორატორთა მიერ გამოთქმული აზრებისა და წინადადებების საფუძველზე კრებამ მიიღო კონკრეტული ღონისძიებანი რთველის ორგანიზებულად მოწყობისა და სახელმწიფოსათვის ყურძენის მიყიდვის ბეგმის ბადამტკიცებით შესრულებისათვის.

კრებამ დაავალა მეურნეობის პარტიულ კომიტეტს, აგროგანყოფილებათა პირველად პარტორგანიზაციებს, ორგანიზაციულ-პარტიული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის კალენიერებით დარაზმონ მშრომელები იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება სახელმწიფოსათვის საბჭოთა მეურნეობიდან 2.800, ხოლო მოსახლეობიდან 450 ტონა ყურძნის მიყიდვის შესახებ.

* * *

კისისხეველი კომუნისტები დიდი მონდომებით შეუდგნენ პარტიული კრების მიერ დასახულ ღონისძიებათა განუხრელად განხორციელებას. ახლა სოფელში, სახბჭოთა მეურნეობის თვითეულ უბანზე ყველა ერთი ფაქრით ცხოვრობს და შრომობს — თავისი წვლილი შეიტანოს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს 300 ათასი ტონა ყურძნისათვის ლაშქრობაში.

ა. თვალიაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნოვატორი

გ. რიმნისთაველმა 2,5 წელიწადში დაზოგილი მასალებით გამოუშვა 10 ათასი წყვილი ფეხსაცმელი

გივი რიმნისთაველის, ნოვატორი მუშის სახელს ავა მარტო ფაბრიკა „ისანში“, არამედ მთელ რესპუბლიკაში ცნობილი. იგი ფეხსაცმლის ძალიერ დეტალების გამომჭრელია — არსებობს ასეთი პროფესია ფეხსაცმლის ფაბრიკაში.

ფეხსაცმლის ძალიერ დეტალების გამოკვეთა მეტად ერთფეროვანი საქმეა. მუშა საგანგებო მორზე ტყავის ნაჭრის მიუმარჯვებს საჭრისს, საგრეხელს ფეხს დაჭერს, მძლავრი წნეხი შექანდება, ყრუდ გაიხმაურებს და ფეხსაცმლის ძალიერი მზად არის.

მაგრამ ყოველგვარი პროფესია ეშიძლება საინტერესო გახადოს ადამიანმა, თუ მას კარგად დაეუფლება. ასი წელია გივი რიმნისთაველი ამ სამუშაო ადგილზეა. ამ ხნის მანძილზე აქ არაფერი არ შეცვლილა. იგივე სამუშაო მანქანა დგას, იგივე საგეიფორო მორი, წნეხი, საჭრისები. მაგრამ მის მიერ შესრულებული სამუშაო ერთფეროვანი, მონოტონური ოპერაცია აღარ არის, მას სული ჩაუდგეს, გაათბეს, მასში შემოქმედებითი აზრი ჩააქსოვეს, რომანტიკული გახადეს.

პირველად გივის მეტად მარტივი -ამოცანა ჰქონდა: ტყავის ნაჭრისაგან განსაზღვრული რაოდენობით უნდა გამოეჭრა საძირე. იგი დროში ეტეოდა, გეგმებს ასრულებდა, ცვლის ბოლოს ყოველთვის აბარებდა ხოლმე ოსტატს დღიურ ნორმას და კმაყოფილი მიდიოდა შინ. სხვა რა მოეთხოვებოდა ახალგაზრდა გამომჭრელს, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულიყო და ფაბრიკა „ისანში“ ეუფლებოდა მეფეხსაცმლის პროფესიას.

ერთხელ მუშაობისას გივიმ პირველად შეამჩნია, რომ ტყავის ნაჭრისაგან კიდევ შეიძლებოდა დამატებითი ლანჩის-გამჭრა, რომელიც არც გეგმით და არც ინსტრუქციით არ იყო გათვალისწინებული. ეს იყო რაღაც ახალი, მოულოდნელი. კარგა ხანს ატრიალებდა ტყავის ნაჭერს, თვალით ზომავდა, ანგარიშობდა, საჭრისს ქვეშ ტყავს აქეთ-იქით ატრიალებდა, ეძებდა და პოულობდა ზედმეტ ლანჩის. მაგრამ განსაზღვრული სტანდარტული საჭრისებით გამოჭრა არც ისე დიდ ეკონომიას იძლეოდა. საჭირო იყო რამდენიმე ასორტიმენტის ლანჩის ერთდროული გამოჭრა. ეს იყო ახალი მეთოდი, — ფეხსაცმლის საძირე დეტალების კომბინირებული გამოჭრის მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლეოდა მიეღწია შრომის მაღალი ნაყოფიერებისა და მასალების ეკონომიისათვის.

— რა არის საჭირო, რომ შუშა მაღალი კლასის ოსტატი გახდეს? — ვეკითხებით ინიციატორს.

— უპირველეს ყოვლისა მონდომება, გამოცდილება, შემდეგ მარდი ხელი და ზუსტი თვალი, — ამბობს გივი.

ამასთან თურმე ტყავსაც სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა, ყაჯარია იგი, კალთები თუ ქედიერი. არის ასეთი კატეგორიის ტყავის ნახევსვაბანი, ისინი ერთმანეთისაგან სისქითა და ხარისხით განსხვავდებიან. ყველა მათგანისაგან შუადება ფეხსაცმლისათვის ცალ-ცალკე საძირე დეტალები. ამას დაუმატეთ ოცდაათამდე ფასონი, რომელთა მიხედვითაც იკერება ფეხსაცმელი ფაბრიკაში, და მიხვდებით, რომ მართლაც დიდი ოსტატობაა საჭირო, რომ მათში სწორად გაერკვე, საჭიროა ტყავის კარგი ცოდნა, მისი თავისებურებების გათვალისწინება. ეს გამომჭრელს საშუალებას აძლევს გააუმჯობესოს დეტალების ხარისხი.

— ჩემი საზომი ჩემი ხელია, — ამბობს გივი, — შუშაობისას ხელით ვსინჯავ და თითებით ვგრძნობ ტყავის სისქეს. როცა სისქე კლებულობს, მამაკაცის ფეხსაცმლის ლანჩას აღარ ვჭრი, სამაგიეროდ ბავშვის ფეხსაცმლისათვის ვიწყებ გამოჭრას, შემდეგ ჩვილი ბავშვისათვის და ა. შ., სანამ მთლიანად [illegible] რაციონალურად არ გამოვიყენებ და მის თვითეულ დეტალს [illegible] სიანს არ გავხდი.

შუშაობისას გივი როდი ფუსფუსობს. ერთი შეხედვით გეგონებათ, თითქოს არც ჩქარობსო, მაგრამ ეს ერთი შეხედვით გეჩვენებათ, სინამდვილეში კი იგი ჩქარობს და მერე როგორ — სამჯერ მეტ სამუშაოს ასრულებს ნორმასთან შედარებით. 100 კვადრატული დეციმეტრი ტყავის გამოჭრას 444 წამის ნაცვლად 156 წამს ანდომებს. მუშაობისას მისი ხელები ავტომატურად მოძრაობენ, მის მოქმედებაში ყველაფერი გამოზომილი და წინასწარ გათვალისწინებულია.

დილით, სამუშაოს დაწყებისას ვივი ჯერ საჭრისებს მოაწესრიგებს. მარცხნივ ძმიმე და მოზრდილ საჭრისებს დაალაგებს, მარჯვნივ კი შედარებით მცირე და მსუბუქი საჭრისები უწყვია. ტყავსაც ასევე დაახარისხებს, გაიანგარიშებს, საიდან რამდენი და რა ზომის ლანჩა გამოიჭრება, და მოგვიანებით ხუთიექვს „სვლას“ წინასწარ განჭვრეტს და ისე იწყებს გამოჭრას.

ასე ყალიბდებოდა და დღითიდღე სრულყოფილ სახეს იღებდა გ. რიმნისთაველის ოსტატობა. ახლა მისგან სწავლობენ. ისიც დაუფლებულან ამ ინიციატივას. [illegible] ეს ინიციატივა ფრთა [illegible] „ისანში“ საწარმოში, სადაც [illegible] ინიციატორ [illegible] ინიციატივა [illegible] ინიციატორ [illegible] ინიციატორ [illegible] ინიციატორ

ᲗᲘᲠᲘᲡᲘ ᲓᲦᲔ

ᲦᲠᲛᲐ ᲞᲐᲪᲘᲤᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲘᲗᲔᲑᲘ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲑᲔᲭᲓᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲒᲐᲜᲔᲡ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡ ᲑᲣᲚ�გᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲡ.

ᲑᲣᲚᲗᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ სᲛᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ნᲛᲠᲘᲡ პᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ „ᲐᲛᲜᲐᲜᲒᲘᲐ ᲔᲚᲘᲐᲡ-ᲔᲗ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲑᲣᲚ�გᲐᲠᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ, ᲑᲣᲚ�გᲐᲠᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲠᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ.

ᲑᲣᲚᲗᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ თავის სტატიაში ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირთან მეგობრობას და თანამშრომლობას ბულგარეთში სოციალიზმის წარმატებით შენებლობისათვის.

ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა და თანამშრომლობა, წერს გაზეთი **„ᲗᲐᲛᲔᲓᲦᲔᲚᲘᲡᲙᲘ ᲜᲘᲜᲐᲛᲘ“**, სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანათა შესრულების მძლავრი ბუჩქი და მთავარი გარანტიაა. ორი ქვეყნის ეკონომიკის სულ უფრო სრული ინტეგრაცია ჩვენი სახელმწიფო სუვერენიტეტის, ეროვნული დამოუკიდებლობის, საერთაშორისო ასპარეზზე ძლიერებისა და გავლენის განმტკიცების საფუძველია. ამიტომ, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, სულითა და გულით მოგესალმებით საბჭოთა ძმებს, რომელთა გულუხვი და უანგარო დახმარება თან ახლდა ყოველ ჩვენს წინგადადგმულ ნაბიჯს მომავლის გზაზე.

ᲙᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ გაზეთები **„ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ ᲚᲣᲓᲣ“** და **„ᲔᲠᲘᲜ ᲒᲐᲠᲨᲐᲕᲐ“** პირველ გვერდზე ბეჭდავენ ცნობას, რომ ამხანაგ ბრეჟნევს მიენიჭა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირის წოდება. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს საპატიო წოდება ლ. ი. ბრეჟნევს მიენიჭა განსაკუთრებული დამსახურებისათვის ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განვითარების, განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის შენებლობის საქმეში, იმისათვის, რომ აქტიურად მონაწილეობდა ჰიტლერული ფაშიზმის განადგურებასა და ხალხთა განთავისუფლებაში, პირადი წვლილი შეიტანა კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზისა და საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის განხორციელებაში.

ᲣᲜᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ „ᲜᲔᲠᲘᲜᲐᲨᲐᲕᲓᲘᲡᲐᲕᲘᲡ“ აღნიშნავს, რომ ეს საპატიო წოდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ბრეჟნევს როგორც საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამჩენილ მოღვაწეს, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის საქვეყნოდ ცნობილ და აღიარებულ მებრძოლს, პარტიისა და საზოგადოებისადმი ხელმძღვანელობაში ლენინური ტრადიციების ღირსეულ განმგრძობს.

Ე. ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘ). შეერთებული შტატები არსებითად არღვევს ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ პარიზის შეთანხმებას, როცა კვლავ გამოჰყოფს სახსრებს საიგონის რეჟიმის სასამართლო-პოლიციური მანქანის განსამტკიცებლად. ასეთი ბრალი დასდო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დემოკრატმა სენატორმა ე. კენედიმ.

პრესისათვის გამოქვეყნებულ განცხადებაში ე. კენედიმ აღნიშნა, რომ საიგონის რეჟიმის განმტკიცებისათვის გამოყოფილია „სულ ცოტა 15 მილიონი დოლარი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სამმართველოსა და თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტებიდან“ და რომ „დამატებითი ფონდები შეიპარეს ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტის სხვა გასავლის შუხლებიდან“. სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ უცხოეთის სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევის პროგრამიდან „სახსრების ასეთი სამარცხვინო ხარჯვა“ „ლანავს ვიეტნამში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შინაარსს თუ ორა, ფორმას მაინც“ და მოწმობს, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს „განაგრძოს წინანდელი სახელგანთქმული პოლიტიკა სამხრეთ ვიეტნამსა და მთელ ინდოჩინეთში“. კენედის განცხადება აქ მიაჩნიათ იმის ახალ ნიშნად, რომ სენატში იზრდება ოპოზიცია უცხოეთის სახელმწიფოებისათვის ეკონომიური დახმარების გაწევის მთავრობისეული პროგრამისადმი, რომელიც ამ თვის დამლევს წარედგინება კონგრესს განსახილველად.

ᲤᲠᲔᲜᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 10. სᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘ). ᲣᲐᲮᲝ მეშვიდე კვირაა დაფრინავენ ამერიკელი კოსმონავტები ბინი, გერიოტი და ლუსმა, რომლებიც ორბიტული სადგურის „სკაილაბის“ მეორე ეკიპაჟს შეადგენენ. უკანასკნელი დღეების მანძილზე ისინი მთავარ ყურადღებას უთმობდნენ მზეზე დაკვირვებას, რაც მეორე ეკიპაჟის მთავარი ამოცანაა.

სპეციალურ ხელსაწყოთა მეშვეობით, კერძოდ, აკვირდებოდნენ ორ მძლავრ აფეთქებას მზეზე 6 და 7 სექტემბერს. ჟურნალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ ენერგია, რომელიც 7 სექტემბრის აფეთქების დროს გამოიყო, 500 ათასჯერ აღემატება წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველა ელექტრსადგურის მიერ გამომუშავებულ ენერგიას. ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ამ დაკვირვებათა შედეგებს დიდი მეცნიერული და პრაქტიკული ღირსებიბა აქვთ, მათი მოცულობა კი იმდენად დიდია, რომ მიღებული მონაცემების მთლიანად შესწავლისათვის თითქმის ორი ათეული წელი იქნება საჭირო.

უკანასკნელ დღეებში მოეწყო აგრეთვე ბუნებრივი რესურსების გამოკვლევა, განხორციელდა სამედიცინო ეკსპერიმენტები და გადაღებულია დედამიწის ცალკეული მონაკვეთების ფოტოსურათები. მაგრამ ამ სამუშაოდა მოცულობა მკვლევრად შემცირდა მზეზე ფართო დაკვირვებისა და ღრუბლიანობის გამო, რომელიც ხელს უშლიდა დედამიწის სურათების გადაღებას. კოსმონავტმა ლუსმამ, ამას გარდა, მოაწყო ექსპერიმენტი უწონობის პირობებში ზოგიერთი შენადნობის მისაღებად, რომელთა მიღება დედამიწაზე ვერ ხერხდება.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ

ᲛᲐᲜᲘᲚᲐ, 8 სᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘ). ფილიპინების ტყვორთის გამგზავნთა საბჭომ, ფილიპინების საგანგებო პალატებისა და საეკსპორტო ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს მიიღონ სოციალისტური ქვეყნების, მათ შორის, საბჭოთა კავშირის, წინადადება ფილიპინების საქონლის გადასაზიდად ამ ქვეყნების საგანგებო გემების გამოყენების შესახებ. ტვირთის გამგზავნთა საბჭომ აღნიშნა, რომ სოციალისტური ქვეყნების საგანგებო გემების ფრახტი მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ფილიპინელ ექსპორტიორთა მდგომარეობას.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ „ᲚᲣᲛᲐᲜᲘᲢᲔᲡ“ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. 10 სᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘ). კულმინაციური მომენტი საფრანგეთის' კომპარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „ლუმანიტეს“ დღესასწაულისა, რომელიც მიმდინარეობს პარიზის კორნნეის გარეუბნის პარკში, გახდა კვირას გამართული ფრანგ მშრომელთა ჭრაფიოსული მიტინგი. მოკლე მისასალმებელი სიტყვით შეკრებილთ მიმართა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟორჟ მარშემ.

მიტინგზე გამოსვლისას საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა მადლენა ვენსანმ განაცხადა, რომ „ლუმანიტეს“ დღესასწაული გახდა ხალხის ბრძოლის სიმბოლო, მშრომელთა იმედებისა და მისწრაფებების გამოხატულება, საერთაშორისო სოლიდარობის გამოვლინება.

მტინგის ათიათასობით მონაწილე მჭუხარე ტაშით შეხვდა დღესასწაულზე საზღვარგარეთის 45 მოძმე გაზეთისა და პარტიის წარმომადგენლებს, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. ვ. შიმანინი.

ᲛᲝᲕᲘᲓᲠᲝᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

9 სᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ალმა-ათაში შუბრობა დაამთავრა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მეხუთე კონფერენციამ:

ექვსი დღის განმავლობაში კონფერენციის ტრიბუნიდან გაისმოდა სიტყვები პროგრესულ ხელოვანთა მაღალ მოვალეობაზე, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში არიან.

ცხრა სექტემბერს აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა კონფერენციის მონაწილეებმა ყაზახეთის საზოგადოებრიობასთან ერთად მონაწილეობა მიიღეს შუა საუკუნეების დიდი მეცნიერი ენციკლოპედისტის ალ-ფარაბის ხსოვნისადმი მიძღვნილ სხდომაში. ალ-ფარაბის დაბადების 1100 წლისთავი აღინიშნება 1975 წელს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა შ. შ. შაინოვმა. მოხსენებები გააკეთეს აკადემიკოსმა ბ. ბ. ბაფურიმმა და ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. ხ. ბასიმჟანოვმა.

მსოფლიო კულტურის საგანძურში ალ-ფარაბის უდიდეს წვლილზე ილაპარაკეს მწერლებმა აბდელ რაჰმან ელ-შარქავიმ (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა) და ჯალილ აგდულ ალ-ხაზიმ (ირაკი). არაბი ხალხები, ისევე როგორც ყაზახეთისა და შუა აზიის ხალხები, სამართლიანად ამაყობენ ამ მეცნიერით, აღნიშნეს მათ.

სხდომაზე გამოვიდნენ აფრეთვე თვალსაჩინო პაკისტანელი პოეტი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ფაიზ აჰმად ფაიზი და სირიის არაბთა რესპუბლიკის მწერალთა დელეგაციის ხელმძღვანელი ადნან ბაბაჯანი.

სხდომას დასწრნენ ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ს. ბ. ნიაზბეკოვი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ნ. იმაშევი, აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის გენერალური მდივანი იუსეფ ეს-სიბაი, მწერალთა კავშირის გამგეების პირველი მდივანი ბ. მ. მარკოვი, აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერლებთან ურთიერთობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე კ. იასენი.

* * *

კონფერენციის თუიათოიოს უკანასკნელ დღეს დელეგატებმა და საპატიო სტუმრებმა მონაწილეობა მიიღეს ყაზახეთის დედაქალაქის ერთ-ერთ პარკში მეგობრობის ხეების გაშენებაში.

* * *

აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა მეხუთე კონფერენციის საბოლოო პლენარული სხდომა გახსნა იუსეფ ეს-სიბაიმ. შემდეგ გამოვიდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერლებთან ურთიერთობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ბ. სოფრონოვმი. მან გამოაცხადა ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობის შემადგენლობა და დამსწრეთ წარუდგინა ახლად არჩეული გენერალური მდივანი იუსეფ ეს-სიბაი და მისი ორი მოადგილე ალჟეტს ლა გუშმა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და სუბაპას მუძერჯი (ინდოეთი).

ყაზეთის ვითარებაში გადაეცა საერთაშორისო ლიტერატურული პრემია „ლოტუსი“ 1973 წლის ლაურეატს ქუამეს ანსონს — ცნობილ ალჟირელ პოეტს, რომანისტსა და დრამატურგს.

დელეგატებმა მიიღეს სპეციალური რეზოლუციები, რომლებიც შემოიტანეს პოლიტიკურმა და ორმა კულტურულმა კომიტეტებმა.

მიღებულია რეზოლუციები: „ინდოჩინეთის შესახებ“, „არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის“, „აფრიკის გამათავისუფლებელი ბრძოლისადმი სოლიდარობის“, „რეალიების წინააღმდეგ ჩილელი ხალხის ბრძოლის მხარდაჭერის“ შესახებ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში კონფერენციამ მიიღო დასკვნითი დოკუმენტი — ზოგადი დეკლარაცია.

კონფერენციის მონაწილეებმა დაგეგმეს მშვიდობის მტრები, რომლებიც ეხწრაფვიან შეარყიონ აზიისა და აფრიკის ხალხთა ერთიანობა და მათი მეგობრობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან, ადიდებენ ფეოდალური, შოვინისტური და ტოტალიტარული ცრურწმენები გამოიყენონ იმისათვის, რათა გააღვივონ ძმათა-მკვლელი ომები და გენოციდის რეციდივები. ჩვენი ამოცანაა, ნათქვამია დოკუმენტში, ავამენოთ ეკონომიური და პოლიტიკური ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოება.

მიღებულია გადაწყვეტილება აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა შემდეგი კონფერენცია მოიწვიონ 1977 წელს კვიაში.

დასასრულ გამოვიდა კონფერენციის თავმჯდომარე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ბ. მ. მარკოვი. კონფერენციის მონაწილეთა სახელით მან მადლობა გადაუხადა საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტსა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების მწერალთა ასოციაციის გენერალურ მდივანს იუსეფ ეს-სიბაის ამ ფორუმის მოსაწვევად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამით აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეხუთე კონფერენციამ დასამთავრა მუშაობა.

* * *

9 სექტემბერს კონფერენციის დელეგატებსა და საპატიო სტუმრებს ყაზახეთის სს რესპუბლიკის მთავრობამ გაუმართა დრამბაობა. (საკდესი).

ᲠᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘ). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა რადიოთი გააკეთა განცხადება წერილის შესახებ, რომელსაც დღეს უგზავნის კონგრესს. წერილში, აღნიშნა პრეზიდენტმა, გაშუქებული იქნება 50-ზე მეტი საკანონმდებლო წინადადება, რომლებიც მთავრობამ გადასცა კონგრესს.

როგორც რ. ნიქსონმა თქვა, უკანასკნელი ოთხ-ნახევარი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საერთაშორისო პოლიტიკის ახალი კურსი აირჩიეს, რათა „საფუძველი ჩაუყაროს მშვიდობის სტრუქტურას“ მომავლისათვის. დამთავრდა შეერთებული შტატების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი და ძვირფასი ომი. წელს უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში პირველად, აღნიშნა პრეზიდენტმა, ამერიკელები აღარ ომობენ. ნიქსონ დაბრუნდნენ ამერიკელი სამხედრო ტყვეები.

უკვე რამდენიმე წელია, განაგრძო რ. ნიქსონმა, მიმდინარეობს ხანგრძლივი და გულმოდგინე მოლაპარაკება სტრატეგიული ატომური შეიარაღების ურთიერთშეზღუდვის შესახებ. „უკვე დაიდო ისტორიული შეთანხმებანი, პეტსპექტივაშია სხვა შეთანხმებათა დადება“, — ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა. წელს მიმდინარეობს აგრეთვე მოლაპარაკება ევროპაში ჯარების ორმხრივი და შეუნახავსწორებული შემცირებისათვის.

პრეზიდენტმა „ამასთანავე გამოთქვა ეჭვი ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის შემცირების წინააღმდეგ, თუმცა აღიარა, რომ „უკანასკნელ წლებში ხშირად იძულებულნი ვიყვნეთ ეს ბიუჯეტი ზედმეტად ეფინა“. ეს ეკონომიური ფაქტორი, ამბობს ამერიკელ ექსპერტთა ერთი ჯგუფი, ეჭვქვეშ აყენებს ამერიკის ეროვნული უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების ეფექტიანობას. ეს ფაქტორი, ამბობენ ამ ჯგუფის ექსპერტები, ეჭვქვეშ აყენებს ამერიკის ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანობას. ეს ფაქტორი, ამბობენ ამ ჯგუფის ექსპერტები, ეჭვქვეშ აყენებს ამერიკის ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანობას.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ

ᲐᲚᲟᲘᲠᲘ. 10 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.). გუშინ აქ მუშაობა დაამთავრა მეუმხრობელი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-4 კონფერენციამ. საბოლოო სხდომაზე კონფერენციის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე ჰუარი ბუმედიენი.

შეეხო რა მეუმხრობლობის მოძრაობის ამოცანებს, მან თქვა, კერძოდ, რომ ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მესამე სამყაროს ქვეყნებს ძალას მატებდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების არსებობის თვით ფაქტი, აგრეთვე მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების მხარდაჭერა. „ოქტომბრის რევოლუციამ და ძალების მსოფლიო თანაფარდობაში მომხდარმა ცვლილებებმა, — ხაზი გაუსვა ბ. ბუმედიენმა, — ისტორიული წვლილი შეიტანეს იმ კეთილნაყოფიერი პირობების შექმნაში, რომლებმაც უზრუნველყვეს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იმპერიალისტურ ბატონობაში მყოფი ქვეყნების ბრძოლის წარმატება“.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ. მძლავრმა გაფიცვებმა შემოჭა რურ-რაინის საშრეწველო რაიონის მანქანათსამშენებლო და ლითონდამამუშავებელი საწარმოები. მუშები აქტიურად იბრძვიან ფასების განუწყვეტლივ გადიდების, კაპიტალისტური ექსპლოატაციის გამწვავების წინააღმდეგ, იმის წინააღმდეგ, რომ მეწარმენი უარს ამბობენ შეასრულონ მუშების მოთხოვნები სიძვირის განუწყვეტელი ზრდის კომპენსაციის შესახებ. გაფიცვა იმის მოთხოვნით, რომ გაუდიდონ ხელფასი და შეწყვიტონ დისკრიმინაცია შრომის ანაზღაურებაში, გამოაცხადეს დიუსელდორფის ახლოს ნოხისს საკარბიურატორო ქარხანა „პირბურგის“ უცხოელმა მუშა ქალებმა. მას შემდეგ, რაც პოლიციამ გაფიცულნი გარეკა, მათთან სოლიდარობის ნიშნად მუშაობა შეწყვიტა საწარმოს ყველა მუშამ და მოსამსახურემ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ნოხისს ქარხანა „პირბურგის“ გაფიცული მუშა ქალები. ᲐᲦᲜ-ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲘᲡ ფოტო.

„ᲠᲐᲜᲓ ᲓᲔᲘᲚᲘ ᲛᲔᲘᲚᲘᲡ“ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲧᲐᲚᲒᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲔᲒᲘ

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ გაზეთმა „რანდ დეილი მეილმა“ თავის ფურცლებზე მოათავსა ცნობა, იმის შესახებ, რომ, როგორც მან შეიტყო, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის თითქოს დამყარდა კონტაქტები „იმ მიზნით, რომ მოამზადონ მოლაპარაკება ფართო წრის საკითხებზე“.

განა საჭიროა იმის თქმა, რომ ეს ცნობა თავიდან ბოლომდე მოჩმახულია. — ამ ცნობის სათავეები ჩანს თვით მისი შინაარსიდან: იგი შეუთხზავთ პეკინში და იქიდან მიუგზავნიათ სხვა ქვეყნების პრესისათვის. ჩინეთის პროპაგანდის ასეთი ხერხი ახალი არ არის. არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს ამ შემოვლითი გზის მიზნებიც. პეკინში ცდილობენ ასეთნაირად გაუტეხონ სახელი საბჭოთა კავშირის პოლიტიკას, რომელიც მუდამ უმკერდა და უჭირს მხარს აფრიკის ქვეყნების სამართლიან ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, სამარცხვინო ამპარტეიდის წინააღმდეგ, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალნი მიმართავენ. ეს პროვოკაციული მონაჩმახი ეხმიანება გააფთრებულ ანტისაბჭოთა კამპანიის, რომელსაც პეკინი ეწევა.

უცხოეთის პრესისათვის ანტისაბჭოთა სიყალბის შეჩერებით პეკინში სხვა მიზანსაც ისახავდნენ: მიეჩქმალათ ის საძრახისი ფაქტი, რომ თვითონ ჩინეთი ნამდვილად ეაჭრობს პრეტორიის რასისტულ რეჟიმთან.

განის ყოველკვირეულის „პალავერის“ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „ჩინეთი თანამშრომლობს რასისტულ რეჟიმებთან“. სტატიაში ნაჩვენებია პეკინის ხელმძღვანელობის თვალთმაქცობა, რომელიც სიტყვით აღუთქვამს აფრიკის ახალგაზრდა ქვეყნებს „თანაგრძნობას“, საქმით კი სულ უფრო აფართოებს ეკონომიურ ურთიერთობის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და როდეზიასთან. ჩინეთს, წერს „პალავერი“, ყოველწლიურად როდეზიიდან გაქვს 70 ათასი ტონა ქრომის მადანი.

. განის გაზეთი აღნიშნავს, რომ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ძი პენ-ფეიმ ინგლისში ვიზიტის დროს ხაზი გაუსვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაინტერესებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და როდეზიაში სტრატეგიული ნედლეულისა და სამთამადნო მოწყობილობის შესყიდვით. მან სთხოვა ინგლისს (რომელსაც, როგორც ცნობილია, შვიდრო ურთიერთობა აქვს პრეტორიასა და ლონდონსა და ბონკონგის სავაჭრო ფირმების მეშვეობით საიდუმლო გარიგებათა დადებაში.

Ბ. ᲓᲠᲐᲒᲣᲜᲝᲕᲘ,

— საკდესის კომენტატორი.

ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲐᲚᲓᲦᲐ

ᲛᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲕᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲑᲣᲚᲗᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ სᲛᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ნᲛᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘᲗ „ᲐᲛᲜᲐᲜᲒᲘᲐ ᲔᲚᲘᲐᲡ-ᲔᲗ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲑᲣᲚᲗᲐᲠᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ, ᲑᲣᲚᲗᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲠᲗᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲡᲐᲜᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲠᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲡᲗᲐᲜ ᲠᲝᲓᲔᲖᲘᲐᲡᲗᲐᲜ.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓ

საქართველოს ფეხ-ბურთი

ასპინძელები „ასპინძაზე"

ბათუმი. (საკ. კორ.). რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახელწოდებით ახლა საქართველოს საზღვაო სანაოსნოში მრავალი ტანკერი და მშრალი ტვირთის გემი დაცურავს. „სეხნია" რაიონებისა და ქალაქების მშრომელები შეფიცნენ და ახლო ურთიერთობა აქვთ ამ ხომალდების ეკიპაჟებთან.

ახლახან ასპინძის რაიონის დელეგაციი ეწვია ხიმშიოვილ „ასპინძას", რომელიც შორეული რეისიდან დაბრუნდა საბაზო ნავსადგურში. ასპინძელებმა დათვალიერეს ჯემი. მასპინძლები ეხაუბრნენ თავიანთ საქმიანობაზე, შრომითს წარმატებებზე. შემდეგ მოეწყო საზეიმო შეხვედრა. სიტყვებით გამოვიდნენ სოციალისტური შრომის გმირი, ბოცმანი კ. ოსაძე, ტანკერის კომკავშირის კომიტეტის მდივანი შ. ადლეიბა, პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ვ. ალელაშვილი და სხვები.

ასპინძელებმა ხომალდის ეკიპაჟს აჩუქეს რაიონის მშრომელთა წარმატების ამსახველი სტენდი, უჩვენეს თავიანთი თვითმოქმედება. კ

საგზურები კოლმეურნეებს

ხელვაჩაური. (საკ. კორ.). ლენინის ორდენოსანმა მწველავმა მ. ბალაძემ, მოწინავე მეციტრუსე მ. ზოიძემ, პენსიონერმა მეჩიიმ ა. ცინცქილაძემ და მრავალმა სხვამ პროფკავშირული საგზურებით კუთვნილი შვებულება გაატარეს წყალტუბოში, საირმეზე, ბორჯომსა და სხვა ადგილებზე.

კოლმეურნეობამ ბავშვების საზაფხულო დასვენებისთვისაც იზრუნა. ორმოცდაათმა მოსწავლემ ირდადეგები გაატარა მანგლისის, ცისკარის, კირნათისა და სხვა პიონერულ ბანაკებში.

ახალი ხიდი ყვირილაზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სოფელ კვალითში შენდება მეტალურგთა ქალაქი — „ახალი ზესტაფონი", სადაც იცხოვრებენ ფეროშენადნობთა ქარხნის მშრომელები. მათთვის მდინარე ყვირილაზე აშენდა ახალი ხიდი, რომლის პროექტის ავტორია რ. შოვნაძე.

მშენებლობას ხელმძღვანელობდნენ სამუშაოთა მწარმოებელი ა. არაბიძე და ინჟინერი ნ. სალაძე.

ტკბილი ექსპერიმენტი

ესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთ პოპულარობით სარგებლობს ქართული მთის ნაცრისფერი „ფუტკარი". დიდ შემოსავალს იძლევა საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში განლაგებული საფუტკრე, სადაც 300-ზე მეტი სკაა.

მიუხედავად წლევანდელი ცუდი ამინდებისა აქ ფუტკრის ყოველი ოჯახიდან მიღებულია 12 კილოგრამი თაფლი. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მეფუტკრე აკაკი დარბაიძეს.

სურათზე: საფუტკრეები საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში; მთავარი მეფუტკრე აკაკი დარბაიძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სპორტი

საბჭოთა ფალავნების ტრიუმფი

ლ. თედიაშვილი — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი

ქართველი ფალავნის, თბილისელი ლევან თედიაშვილის უპირატესობა თავის მეტოქეებზე თეირანის საჭიდაო ხალიჩაზე იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ისინი ორთაბრძოლის დაწყებისთანავე მეტწილად დაცვაზე ფიქრობდნენ. მსაჯები გამარჯვების ნიშნად ყოველთვის თედიაშვილის ხელს წევდნენ მაღლა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი, სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრი, სსრ კავშირის და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, 25 წლის ლევან თედიაშვილი (მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბალავაძე) მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გახდა. გილოცავთ დიდ წარმატებას, ლევან!



საბჭოთა მოჭიდავეების გამოსვლა ირანის დედაქალაქში თავისუფალი სტილის მსოფლიოს ჩემპიონატზე მართლაც ტრიუმფალური იყო. ოქროს ექვსი მედალი მოიპოვეს ჩვენმა ხალიჩის ოსტატებმა ათ წონით კატეგორიაში.

პირველმა ამ წარმატებას მიაღწია მოსკოვის უნივერსიადის ჩემპიონმა, კრასნოიარსკელმა სტუდენტმა ივანე ივრიგინმა, რომელმაც ერთი დღით ადრე — ჯერ კიდევ შაბათს გაიანალიზა ჩემპიონობა. მოსკოველმა რომან დმიტრიევმა (48 კილოგრამი) გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დაამარცხა ბულგარელი იზოვ მუსელოვი და მკერდი ოქროს მედლით დაიმშვენა. ადიევ სამი „ოქრო" მოიქვეს ჩვენს ბიჭებს სამშობლოში — მახაჩყალელ ზაგალავ აბდულბეკოვს, მინსკელ ვასილ სიულუნინს და ორჯონიკიძელ სოსლან ანდიევს.

არსენ ალაპვერდიევმა, ნასრულა ნასრულაევმა, რუსლან აშურალიევმა (სამიეე — მახაჩყალა) მოიპოვეს ვერცხლის მედლები, ხოლო მათმა თანამოქალაქემ ვლადიმირ იუმინმა — ბრინჯაოს ჯილდო.

საბჭოთა ნაკრებმა, რომელსაც სათავეში უდგას უფროსი მწვრთნელი იური შახმურადოვი, ჩემპიონობა მოიპოვა გუნდურ ჩათვლაშიც.

ახლა თეირანის „ფარახის" საჭიდაო ხალიჩაზე თავისუფალი სტილის ფალავნებს შეცვლიან უძლიერესი „კლასიკოსები".

ლიდერია მ. ტალი

სოჭში, ჩიგორინის მემორიალის მეექვსე ტური მიმდინარეობდა განსაკუთრებით დაძაბულ ბრძოლაში. პირველად დამთავრდა სპასკისა და კორენსკის შეხვედრა, რომელშიც გაიმარჯვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა. ტალმა დაამარცხა რაშკოვსკი. სპბო (უნგრეთი) და სმეიკალი (ჩეხოსლოვაკია) შეთანხმდნენ ყაიმზე. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 6 ტურის შემდეგ 4,5 ქულით ლიდერი გახდა ტალი. სმეიკალს, სპასკისა და ტიმანს აქვთ 4 ქულა თვითეულს.

სამთა ტურნირზე

უნგრელმა გროსმაისტერმა ლაიოშ პორტიშმა სამთა მატჩ-ტურნირზე იუგოსლავიის ქალაქ პორტოროოში ყაიმი გააკეთა ეფიმ გელერთან, დამარცხა ლუბ პოლუგაევსკი და 1,5 ქულა მოაგროვა 2 შესაძლებლობიდან. პოლუგაევსკისა და გელერის მეორე შეხვედრაში გაიმარჯვა პოლუგაევსკიმ, რომელიც 2 ქულით (3 შესაძლებლობიდან) სათავეში ჩაუდგა ტურნირს.

ოვალური ბურთით

შაბათსა და კვირას გაიმართა რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩები.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდები მოსკოვში გამოდიოდნენ. „დინამო" ხვდებოდა საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივს, ხოლო „ლოკომოტივი" — სამხედრო-საჰაერო აკადემიის რეგბისტებს.

დინამოელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს 3:0 (3:0), რკინიგზელთა გუნდი კი დამარცხდა — 6:16 (6:10).

შეხვედრა მატჩი ქუთაისში

ბუშინ ქუთაისში გაიმართა „ა" კლასის პირველი ლიგის საკავშირო პირველობის მორიგი მატჩი — ადგილობრივი „ტორპედო" მასპინძლობდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს ოდესის „ჩერნომორეცს".

შეხვედრა მაღალ ტემპში, საინტერესო ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა. ქუთაისელებმა მეტი მონდომება და კოლექტიურობა გამოიჩინეს (ეს ერთნაირად ეხება გუნდის ყველა რგოლს) და გათამაშებაში მე-15 გამარჯვება ჩაიწერეს — 2:1. ტორპედოელთაგან ბურთები გაიტანეს ფესტვენიძემ (22-ე წუთზე) და ოქროპირაშვილმა (55-ე წუთზე). სტუმრებმა ერთადერთი გოლი გაიტანეს 70-ე წუთზე.

მასპინძლები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: გრძელიშვილი, ქვირია, წვეტრავა, ქუთათელაძე, ჯოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩიხუნაშვილი, ფარულავა (კოსტავა), ფესტვენიძე, ხერხაძე, შელია (გაბიჩვიძე).

ახლა ქუთაისის „ტორპედოს" 28 შეხვედრიდან 28 ქულა აქვს.

დ. გელენიძე,
(ტელეფონით. ჩვენი სპ. კორ.).

რამდენიმე სტრიქონით

● **მაკლინსნობა.** „ბრუნო ზაულის თასი" — ფლორენციელ ოსტატთა უძველესი ნახელავი — სამი წლის შესვენების შემდეგ კვლავ დაიკავებს თავის ადგილს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის ფიზკულტურისა და ხპორტის მუზეუმში. ეს სპასტეი ჯილდო მოიპოვა სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა შოტლანდიის ქალაქ ედინბურგში, „მიდოუბენკის" სტადიონზე. ჩვენმა მძლეოსნებმა დაიბრუნეს ევროპაში უძლიერესის სახელი. მათ მოიგეს ექვსი სახეობა 20-დან. გამარჯვებული გამოვიდნენ: თბილისელი ვიქტორ სანეევი (სამმაგი ხტომა — 16,90 მეტრი), ვალერი პოდლუბნი (სიგრძეზე ხტომა — 8,20 მ.), ანატოლი ბონდარჩუკი (ეროს ტყორცნა — 74,08 მ.), ვალენტინ გავრილოვი (სამალღეზე ხტომა — 2,15 მ.), ნიკოლოზ სვირიდოვი (ხირიალი 10 კმ — 28.44,08), იური ისაკოვი (ფინელ ანტი კალიომიაკთან ერთად) — ჭოკით ხტომა, 5,30 მეტრი.

● **ცხენოსნობა.** უკრაინის დედაქალაქში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი საცხენოსნო სამჭიდაო, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 42 მხედარი გამოდიოდა. კონტინენტის ჩემპიონის სახელი პირველად საბჭოთა სპორტსმენთაგან მოიპოვა 26 წლის მოსკოველმა ალექსანდრე უვდოკიმოვმა. მან უკან ჩამოიტოვა ისეთი აღიარებული ცხენოსნები, როგორიც არიან ორგზის ოლიმპიური ნემპიონი რიჩარდი მიდი და ევროპის უკვე ექს-ჩემპიონი პრინცესა ანა (ორივე — ინგლისი).

● **ნიბბლსნობა.** საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ნიჩბოსნობაში კარპატებით სსრ კავშირის ჩემპიონის სპპატეი წოდება მოიპოვა ლატვიის დედაქალაქში. ჩვენს სპორტსმენებს გადაეცათ თასი და ოქროს მედლები. საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდი მერვე ადგილით დაკმაყოფილდა, საერთო გუნდურ ჩათვლაში კი ქართველი სპორტსმენები მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბალანური ყალბი ეტიკეტებით

ბურსაზეს ფალსიფიკაციამ იტალიაში ისე ფართო გავრცელება ჰპოვა, ამ ... ეროვნულ ... ...